




ავტორები: დავით კეშელავა, იასია ბაბიჩი

ქართული ეკონომიკის პოსტკოვიდური რეაბილიტაცია გრძელდება, თუმცა ინფლაცია სტაბილურობას საფრთხეს უქმნის, რადგან სურსათზე ფასები 17,7%-ით გაიზარდა



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2021 წლის მეოთხე კვარტლისა და 2022 წლის პირველი კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. განახლების შემდგომი ძირითადი მიგნებები კი ასე გამოუყურება:

ძირითადი მიგნებები:

- ცოტა ხნის წინ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2021 წლის მესამე კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელს გადახედა და მისი მნიშვნელობა (0.1 პროცენტული პუნქტით) 9.1%-მდე გაზარდა.
- 2021 წლის ნოემბრის თვისთვის მშპ-ის რეალური ზრდის წლიური მაჩვენებელი 12%-ს გაუტოლდა. შედეგად, მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი 2021 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში, დაახლოებით, 10.7%-ს შეადგენდა.



- განახლების შედეგად, 2021 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.9%-ს გაუტოლდა. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მეორე პროგნოზი 2022 წლის პირველი კვარტლისთვის კი მშპ-ის ზრდას 7.4%-მდე ვარაუდობს.
- **ნოემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ 2021 წელს წლიური ზრდის მაჩვენებელი 10.8%-ს გაუტოლდება**, რაც 0.1. პროცენტული პუნქტით მაღალია წინა პროგნოზის მონაცემებთან შედარებით.

მშპ-ის ზრდის პროგნოზს საფუძვლად უდევს შემდეგი ცვლადები:

ფულის მასა. ფულის მასის ყველა აგრეგატი, გარდა ვიწრო ფულისა (M0-ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულისა), შესამჩნევად გაიზარდა წლიურ ჭრილში. M2 და M3 ფულის მასის აგრეგატებმა, შესაბამისად, 19.7%-იანი და 12.1%-იანი წლიური ზრდა განიცადეს. ამასობაში, მიმოქცევაში არსებული ვალუტა შედარებით ზომიერად გაიზარდა წლიური 0.7%-ის ოდენობით. თუმცა ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) თვიური გამოთვლით 2.4%-ით შემცირდა. *საერთო ჯამში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი გავლენა იქონიეს მშპ-ის რეალურ ზრდაზე 2021 წლის ბოლო კვარტალსა და 2022 წლის პირველ კვარტალში.*

საქონლით საგარეო ვაჭრობა. ნოემბერში საქართველოს ექსპორტმა 42.9%-იანი წლიური ზრდა განიცადა, რაც, ძირითადად, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (11.8 პროცენტული პუნქტი), მინერალური და ქიმიური სასუქების (6.1 პროცენტული პუნქტი), მსუბუქი ავტომობილების (5.0 პროცენტული პუნქტი), ნატურალური ყურძნის ღვინოების (1.4 პროცენტული პუნქტი), რკინის შენადნობის/ფეროშენადნობის (1.2 პროცენტული პუნქტი), ტყის თხილისა და სხვა სახის თხილის (1.1 პროცენტული პუნქტი), ალკოჰოლური სასმელების (0.9 პროცენტული პუნქტი) და მინერალური წყლის (0.3 პროცენტული პუნქტი) ექსპორტითა და რეექსპორტით იყო განპირობებული.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 39.6%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (9.5 პროცენტული პუნქტით), საწვავისა და ნავთობპროდუქტების (1.1 პროცენტული პუნქტით), მსუბუქი ავტომობილების (1.1 პროცენტული პუნქტით) და ტელეფონების (0.5 პროცენტული პუნქტით) გაზრდილმა იმპორტმა განაპირობა. შედეგად, საგარეო სავაჭრო დეფიციტმა საგრძნობლად მოიმატა – წლიური 37.3%-ით და 576.9 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის ზრდის პროგნოზში.*

ფულადი გზავნილები. ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 22.0%-ით გაიზარდა და 207.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. (ზრდა ნაწილობრივ საბანკო გზავნილების გამოყენების გაზრდილმა მაჩვენებელმა განაპირობა, რამაც საზღვარზე თანხის ფიზიკურად გადატანა ჩაანაცვლა, რაც უმეტესწილად COVID-რეგულაციებით იყო გამოწვეული). ზრდა, ძირითადად, შემდეგ ქვეყნებზე მოდიოდა: ყაზახეთი (წლიურ ჭრილში – 309.3%, მთლიან ზრდაში – 4.1%), იტალია (წლიურ ჭრილში – 26.6%, მთლიან ზრდაში – 4.0%), ყირგიზეთის რესპუბლიკა (წლიურ ჭრილში – 315.2%, მთლიან ზრდაში – 2.8%), აშშ (წლიურ ჭრილში – 22.1%, მთლიან ზრდაში – 2.6%), გერმანია (წლიურ ჭრილში – 45%, მთლიან ზრდაში – 2.0%), ისრაელი (წლიურ ჭრილში – 23.7%, მთლიან ზრდაში – 1.9%), რუსეთის ფედერაცია (წლიურ ჭრილში – 8.0%, მთლიან ზრდაში – 1.5%), აზერბაიჯანი (წლიურ ჭრილში – 30.6%, მთლიან ზრდაში – 1%), საფრანგეთი (წლიურ ჭრილში – 34.2%, მთლიან ზრდაში – 0.5%), საბერძნეთი (წლიურ ჭრილში – 3.6%,



მთლიან ზრდაში – 0.4%), ტაჯიკეთი (წლიურ ჭრილში – 106.7%, მთლიან ზრდაში – 0.4%) და პოლონეთი (წლიურ ჭრილში – 23.8%, მთლიან ზრდაში – 0.3%). მეორე მხრივ, თანხების შემოდინებამ იკლო უკრაინიდან (წლიურ ჭრილში – 21.8%, მთლიან ზრდაში – 1.2%) და თურქეთიდან (წლიურ ჭრილში – 7.9%, მთლიან ზრდაში – 0.4%). *საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის აღდგენამ დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროცესში.*

ტურიზმი. 2021 წლის ნოემბერში, ტურისტული ნაკადების შემოდინება და შემოსავლები მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა, 2020 წლის მკვეთრი დაცემის შემდეგ. **ნოემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წლიური გამოთვლებით 267.2%-ით გაიზარდა** (თუმცა 2019 წლის იმავე თვესთან შედარებით 69.3%-ით შემცირდა), ხოლო ტურისტების რაოდენობის (კერძოდ, იმ ვიზიტორებისა, რომლებმაც 24 საათი ან მეტი გაატარეს საქართველოში) ზრდამ **283.2%-ს მიაღწია** (2019 წლის იმავე თვესთან შედარებით 55.3%-ით შემცირდა). *საერთო ჯამში, ვიზიტორებისა და ტურისტების ეტაპობრივად მზარდმა რაოდენობამ, ტურისტული შემოსავლების ზომიერი ზრდის პარალელურად, მცირედი პოზიტიური წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროცესში.*

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER). ნოემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიური მაჩვენებლით **2.3%-ით და წლიური გამოთვლებით 12.5%-ით გაიზარდა.** ლარის რეალური გაცვლითი კურსი (RER) თვიურ ჭრილში გამყარდა სხვა დიდი პარტნიორი სახელმწიფოების ვალუტებთან მიმართებით: თურქულ ლირასთან მიმართებით – 10.7%-ით, ევროსთან მიმართებით – 1.8%-ით, რუსულ რუბლთან მიმართებით – 1.5%-ით და აშშ დოლართან მიმართებით – 0.2%-ით. **მეტიც, ლარი/თურქული ლირის, ლარი/ევროს, ლარი/აშშ დოლარის და ლარი/რუბლის რეალური გაცვლითი კურსი წინა წლის იმავე თვის კურსთან მიმართებითაც გაიზარდა შესაბამისად 28.3%, 17.2%, 11.1%, და 3.3%-ით.** REER-ის ზრდა, როგორც წესი, დაკავშირებულია უცხოურ ბაზარზე ეროვნული საექსპორტო პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დაკარგვასთან, თუმცა, ის იმპორტირებული პროდუქტის ფასებზე ნაკლებ ზეწოლაშიც გამოიხატება. *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

ინფლაცია. ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია **12.5%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად აღემატება.** სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის დაახლოებით 4.9% საკვების უფრო მაღალმა ფასებმა განაპირობა, კერძოდ, საკვების ფასი წლიურად 17.7%-ით გაიზარდა (აღნიშნული კი მსოფლიოს მასშტაბით საკვების ფასების ზრდით იყო გამოწვეული – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი წლიურად 27.8%-ით გაიზარდა). გარდა ამისა, საწვავის გაზრდილმა ფასმაც საგრძნობლად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (2.0 პროცენტული პუნქტი) წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. **აღნიშნული ტენდენცია უმეტესწილად მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაზრდილი საწვავის ფასების ანარეკლია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიურად 89.9%-ით გაიზარდა).** სხვა მნიშვნელოვან ხელისშემწყობ ფაქტორად იქცა გაზრდილი ფასები ჯანდაცვაზე (0.6 პროცენტული პუნქტი), თამბაქოზე (0.2 პროცენტული პუნქტი) და კომუნალურ გადასახადებზე (1.6 პროცენტული პუნქტი). ამავდროულად საბაზრო ინფლაციის მაჩვენებელმა 6.1% შეადგინა. *საერთო ჯამში, CPI-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი გავლენა იქონია მშპ-ის პროგნოზზე.*



მსოფლიო ფასები. მშპ-ის ზრდის პროგნოზირებისას ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ცვლადების ისეთი კატეგორიებიც, როგორცაა მეტალის ფასის ინდექსი (PMETA) და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ინდექსი (PRAWM). ლითონს საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მაშინ, როცა საკვები და საწვავი მთავარ იმპორტულ პროდუქციას წარმოადგენს. ამგვარად, ლითონის ფასის გლობალური ზრდა, სავარაუდოდ, დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ზრდა, მეორე მხრივ, დამაზიანებელი ეფექტის მქონე იქნება ეკონომიკისათვის. **წლიური გამოთვლებით, ლითონის ფასები ნოემბერში 26.3%-ით გაიზარდა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასი კი – 3.5%-ით.** ამგვარად, *მოდელისთვის PMETA და PRAWM ინდიკატორების დამატება ზრდის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზს ორივე კვარტლისათვის.*

სამომხმარებლო კრედიტი. ცვლადების კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე, სამომხმარებლო კრედიტთან არის დაკავშირებული. **2021 წლის ნოემბერში კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტების საერთო მოცულობა წლიური გამოთვლებით 31.3%-ით და თვიური გამოთვლებით 4.3%-ით გაიზარდა.** თუმცა, მეორე მხრივ, კომერციული ბანკების მოკლევადიანი სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა წლიურად 13.7%-ით, ხოლო თვიურად 5.7%-ით შემცირდა. შედეგად, უარყოფითი წლიური ზრდა როგორც ეროვნულ (წლიური გამოთვლებით 9.3%-ით შემცირდა), ისე უცხოურ ვალუტაში (წლიური გამოთვლებით 31.4%-ით შემცირდა) გაცემულმა მოკლევადიანმა სამომხმარებლო კრედიტებმა განაპირობა მაშინ, როდესაც კომერციული ბანკების გრძელვადიანი სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა წლიური და თვიური გამოთვლებით, შესაბამისად, **33.3%-ით და 4.6%-ით გაიზარდა.** *საბოლოო ჯამში, სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე დადებითი გავლენა იქონიეს ზრდის პროგნოზებზე.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.